

## **ნატალია ლიტოვჩენკო**

*პროფესორი, ინგლისური ფილოლოგიის დეპარტამენტი*

*ოლეს ჰონჩარის სახელობის დნეპროპეტროვსკის ეროვნული უნივერსიტეტი*

## **ენის სახელმძღვანელოთა ვიზუალური ასპექტი მულტიკულტურულ განათლებაში**

### **აბსტრაქტი**

ეს სტატია ცდილობს, შეისწავლოს ზოგიერთი საკითხი და გამოწვევა, რომლებიც მულტიკულტურულ საზოგადოებაში უცხო ენის შესწავლაშია ჩანერგილი. ის განიხილავს ვიზუალურ არავერბალურ სახელმძღვანელოთა სერიას იმ ბავშვებისთვის, რომლებიც ინგლისურს, როგორც უცხო ენას, სწავლობენ.

**საკვანძო სიტყვები:** ვიზუალური, არავერბალური, სახელმძღვანელოთა სერია, კულტურა, პარადიგმა.

### **შესავალი**

უცხო ენების ფუნქციონირების შეცვლა იწვევს უცხო ენათა სწავლებასთან მიდგომის შეცვლას. მრავალი თანამედროვე მეთოდისტი (ე. ვერეშჩაგინი, მ. ვიატუტნევი, ი. ზიმნაია, ვ. კოსტომაროვი, ი. ლერნერი, ო. მიტროფანოვა, ე. პასოვი და სხვ.) ემხრობა კულტურული მიდგომის იდეას. ამ მიდგომის თანახმად, განათლება განიხილება, როგორც იდეების გადაცემა, რაც მიიღწევა კულტურის თანამედროვე დონით, ვინაიდან კულტურის გარეშე ვერაფერი ვერ გახდება განათლების შინაარსი (ი. ლერნერი). თანამედროვე განათლების რეალური პრობლემა არის ტრადიციული, ცოდნაზე დაფუძნებული

პარადიგმის კულტურაზე დაფუძნებული პარადიგმით შეცვლა. ასე, რომ „ენა+კულტურა“ ფორმულიდან მივდივართ „ენა კულტურის საშუალებით და კულტურა ენის საშუალებით“ ფორმულამდე” [4, გვ. 10].

უკანასკნელ 20-25 წელიწადში გამოჩნდა რამდენიმე კვლევა, რომლებიც სახელმძღვანელოებში ილუსტრაციების კვლევისადმი იყო მიძღვნილი. მკვლევრები ცდილობენ, დაადგინონ წიგნების ილუსტრაციების ბუნება და მათი როლი სპეციფიკური საგანმანათლებლო მასალის ათვისებაში. ამ კვლევებში ძალიან მნიშვნელოვანი ტენდენციაა, განიხილონ სახელმძღვანელოთა ვიზუალური მასალა

(სურათები) არა როგორც ინდივიდუალური, ავტონომიური ნახატები, რეპროდუქციები, ფოტოები - არამედ, როგორც სახელმძღვანელოს ინტეგრალური კომპონენტი, როგორც *ვიზუალური სერია*, რაც, ტექსტის ვერბალურ ნაწილთან ერთად, შეადგენს ერთ მთლიანობას [6, გვ. 5].

სახელმძღვანელოს ორგანიზებასთან დაკავშირებით მრავალი აქტუალური საკითხი განიხილება. ჩვენი აზრით, ასეთი საკითხებია: დახვეწილი (კარგად დამუშავებული) სერიების ბუნება; სხვადასხვა თემაზე სახელმძღვანელოთა დახვეწილი დიაპაზონის თავისებურება; არავერბალური პრეზენტაციების ფორმების კომბინირებული ეფექტი განვითარებაზე, განათლებაზე, ცოდნასა და ტრენინგზე, დახვეწილი მექანიზმების შესაძლებლობები საუბრის განსხვავებული ტიპების ჩამოყალიბებაში... ამგვარად, ჩვენი კვლევის ობიექტი არის ინგლისურის ენის კულტურის სწავლის პროცესი უკრაინის დაწყებით სკოლებში.

კვლევის საგანი არის სახელმძღვანელოთა ვიზუალური ასპექტის შესწავლა ინგლისურად მოლაპარაკე კულტურის დაუფლების პროცესში.

სტატიის მიზანია, დაადგინოს კავშირი ინგლისური კულტურის დაუფლებასა და სახელმძღვანელოთა სერიების ვიზუალურ, არავერბალურ კომპონენტებს შორის.

ამ მიზნის მიღწევა საჭიროებს რამდენიმე პრობლემის გადაწყვეტას:

- 1) სახელმძღვანელოთა სერიების ვიზუალური კომპონენტების ბუნების იდენტიფიკაცია, როგორც კულტურათაშორისი ფენომენის, მრავალდონიანი არტისტული ნიშნის და ამ იდენტიფიკაციის თანახმად, მისი სტრუქტურისა და კომპონენტთა შემადგენლობის განსაზღვრა.
- 2) უცხო ენის კულტურების სახელმძღვანელოებში ვიზუალური ფუნქციების რაოდენობის განსაზღვრა.
- 3) იმ ფაქტორების იდენტიფიკაცია, რომლებიც გავლენას ახდენენ როგორც მთლიანად არავერბალურ ვიზუალურ სახელმძღვანელოთა სერიების, ისევე მათი თითოეული კომპონენტის ადეკვატურ აღქმაზე.

### თეორია

ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოები კულტურის ერთ-ერთი ნიშანია. ის სახელმძღვანელოს ერთ-ერთი შესაძლო ელემენტია. ჩვენ ვიზუალური არავერბალური სერიები გვესმის, როგორც სუბიექტ-ობიექტის სივრცითი წყობა, რომელიც ატარებს ვიზუალურად წარმოდგენილ არავერბალურ ინფორმაციას. ის არაა მხოლოდ ილუსტრაციების ჯამი.

ვიზუალურ არავერბალურ სერიებს, როგორც ნიშანს, აქვს შემდეგი თვისებები:

- **ვიზუალურობა;** როგორც ვიზუალური არავერბალური სერია - აღიქმება მხედველობით;
- **კომუნიკაციური ბუნება** - ვინაიდან ნიშნებს ხალხი ყოველთვის იყენებს კომუნიკაციური მიზნით (ამ მიზნის გარეშე ისინი ნიშნები არ არიან!), განსაკუთრებულ შემთხვევებში ვიზუალურმა არავერბალურმა სერიამ შეიძლება კომუნიკაციის საშუალების როლი შეასრულოს;
- **სუსტი პირობითობა,** რაც განისაზღვრება ვიზუალურ არავერბალურ ნიშნებსა და რეალური ცხოვრების მოვლენებს შორის პირობითი კავშირის მაღალი დონით;
- **მამოტივირებელი ფორმა,** დაფუძნებული რეალური ცხოვრების სინამდვილესთან ვიზუალურ მსგავსებაზე, რომელიც, თავის მხრივ, ნიშნის ისეთ მახასიათებლებზეა დამყარებული, როგორებიცაა: „თვითნებური“, „რეალობა-ღირებულება-ნიშანი“ -მიმართებათა ტერმინებში;

ფილოსოფიასა და ფსიქოლოგიაში აღქმა გაიგება, როგორც კოგნიტიური პროცესი, რომელშიც ხდება რეალობის ასახვა ობიექტების გრძნობითი წარმოდგენის ფორმით [1, 2, 5 და სხვა].

**შენიშვნა: აღქმა - შუალედური დონე - შეგრძნებებისა და ფიქრის ზუსტი ასახვა.**

თანამედროვე ფსიქოლოგიაში არსებობს აღქმის ოპერაციების სამი ტიპი. პირველი - **ობიექტის აღმოჩენის ოპერაცია,**

როდესაც ნაცნობია ობიექტის ყველაზე დამახასიათებელი ინფორმაციული თვისებები. ჩვენს შემთხვევაში, ვფიქრობთ, რომ ეს თვისება აკეთებს ობიექტთა მონახაზს, საშუალებას გვაძლევს, გამოვარჩიოთ შესასწავლი ობიექტი ფონისაგან. შემდეგ აღიარებულია, რომ ფერი არის კულტურისა და ცხოვრების სტილის დამოუკიდებელი ფენომენი. ფერით კოდირებულ ინფორმაციაში ყოველი ფერი აწოდებს აღმქმელს განსაზღვრულ სიგნალს, განსაკუთრებით მოსალოდნელ სიამოვნებასა ან უსიამოვნებაზე, რადგან ფერები მჭიდროდ არის დაკავშირებული ემოციებთან. ადამიანები მუდმივად პასუხობენ ფერით კოდებს და იძლევიან ფერით სიგნალებს.

ფერების ჰარმონიული და არაჰარმონიული კომბინაცია კულტურის ნიშნებია. ჰარმონიის აღქმისას ან შექმნისას ხალხს უნდა შეეძლოს ფერთა ურთიერთობასთან გამკლავება. ისინი არსებობენ კონცეპტუალური ფორმით და ვერ გამოიხატებიან მხოლოდ სურათებით. ცნობილია, რომ ფერით კოდირების სისტემის განსხვავებები გამოწვეულია ეროვნული და ეთნიკური, გეოგრაფიული და სხვა პირობებით.

ბავშვის მენტალური განვითარების კიდევ ერთი წყარო ვერბალური ენაა. ის გავლენას ახდენს ადამიანის ზოგად განვითარებაზე, განსაკუთრებით 6-7 წლის ასაკში, როდესაც ვერბალური და ლოგიკური განვითარება იწყებს ვიზუალურ-ფიგურული ფიქრის ჩანაცვლებას.

**მეთოდი**

ჩვენი კვლევის მიზნების მისაღწევად ჩვენ გამოვიყენეთ შემდეგი მეთოდები: ამ საკითხთან დაკავშირებული ფიქლოლოგიური, სემიოტიკური და პედაგოგიკური ლიტერატურის შესწავლა; ინგლისურის, როგორც უცხო ენის, სახელმძღვანელოების ილუსტრაციების შედარება; სისტემატური და სტრუქტურული მიდგომა ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების სერიის ანალიზისას; მოდელირება, როგორც არავერბალურ ვიზუალურ სახელმძღვანელოთა სერიის ოპერაციასთან დაკავშირებული საბაზისო მეთოდოლოგიური პრობლემების გადაჭრის მეთოდი; კომუნკაციური მიდგომა, რომელიც დამკვირვებლის მიერ სახელმძღვანელოს სერიის აღქმასა და ვერბალური კომუნიკაციის პროცესს შორის კავშირებზე მიუთითებს; დიდაქტიკური სწავლის პროცესი, რომელიც განსაზღვრავს მენტალური ფუნციონირებისა და საუბრის წარმართვის მეთოდების წამყვან როლს; მოტივაციური და სხვა სფეროები პიროვნების ჩამოყალიბების პროცესში.

**დისკუსიები და შედეგი**

ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების სერია არის ნიშანი, რომელიც ატარებს ენაში წინასწარ კოდირებულ ინფორმაციას და თავისი თვისებებით ახლოს არის სახვითი ხელოვნების ენასთან. ვიზუალურ

არავერბალურ სახელმძღვანელოს აქვს სტრუქტურა, რომელიც მოიცავს შინაარსობრივ და გამოხატულების დონეებს, სასიგნალო საშუალებებს (სენსორულ სტანდარტებს).

გამოხატულების დონე იყოფა სამ ქვედონედ და ქმნის მრავალდონიან სპეციფიკური სახელოვნებო ნიშნის ნაწილს.

სტატიაში აღწერილი კვლევა გვამძღვეს თეორიულს ბაზისს არავერბალური ვიზუალური ტუტორიალის გამოყენებისთვის, რათა გამოვიმუშაოთ და ვაკონტროლოთ პრაქტიკული მეთოდოლოგია ინგლისურენოვანი კულტურის სახელმძღვანელოებში მონაცემთა კონსტრუირებისათვის.

არავერბალური ვიზუალური მასალა, როგორც სოციალური მედიის მემკვიდრეობა, განათლებასა და სოციალურ გამოცდილების განსაზღვრულობაზე კოდირებული ინფორმაციის ტარება, ასრულებს იმავე როლს, რასაც მისი შინაარსის სახელმძღვანელოს ფორმის მქონე წარმომადგენელი - რუსულენოვანი კულტურა. ეს არის მრავალგანზომილებიანი შინაარსი და გადმოსცემს, როგორ უნდა მივაღწიოთ ათასწლეულის განვითარების მიზნებს.

ორგანიზებული არავერბალური ვიზუალური სახელმძღვანელოების სერია არის მეთოდოლოგიური ფუნქციის კონტროლის საშუალება ინგლისური ენის დაუფლებისათვის კულტურული, კოგნიტური, განვითარებისა და

საგანმანათლებლო ასპექტების გათვალისწინებით:

- ვიზუალური, შემოქმედებითი წარმოსახვის, ვერბალური და ლოგიკური აზროვნების, გარე ქმედებების შინაგანად გარდაქმნის და სემიოტიკური, კომუნიკაციური და ესთეტიკური გზების იმპლემენტაციისა და განვითარების ფორმირების საშუალებები.
- რუსული კულტურის ფაქტების დაუფლება შემეცნებითი ინტერესების ფორმაციის საშუალებებით [კოგნიტიური ასპექტი];
- ღირებულებების ფორმირების საშუალებები [საგანმანათლებლო ასპექტი];
- სტუდენტის, როგორც სწავლის სუბიექტის, ფორმირების კონტროლის საშუალებები, მისი კომპონენტების შედგენის შექმნის გზით, განსაკუთრებით - საგანმანათლებლო-მმართველობითი ქმედებებებით;
- ენის მექანიზმების მენეჯმენტის ინსტრუმენტის გენერაცია და სხვადასხვა ტიპის ვერბალური საკომუნიკაციო (მეტყველების) აქტივობებისათვის საჭირო უნარებისა და ენობრივი შესაძლებლობების დაუფლების საშუალებები.

აღქმისა და სემიოტიკების თეორიულ ნაშრომებზე დაფუძნებული კონტროლის თეორია ხაზს უსვამს Sun acceptance ZNR tutorial-ზე რუსული კულტურის იმიჯის ფორმაციის ეტაპებს და აღწერს მენეჯმენტის სხვადასხვა ტექნიკას თითოეული ამ ეტაპის წარმოდგენისათვის ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების დონების ორგანიზაციით, ინსტალაციებითა და სპეციალური დავალებებით.

წარმოჩენილია შესაძლო კავშირები ვერბალურ და არავერბალურ სახელმძღვანელოთა სერიებს შორის და აღწერილია მეთოდები მონაცემთა კავშირის ეფექტურობის გასაზრდელად.

ჩვენი ვარაუდით, ვიზუალური აღქმის მოქმედებებისა და ოპერაციების მიზანმიმართული ფორმაციის, შემოქმედებითი წარმოსახვის, ვერბალური და ლოგიკური აზროვნების, სემანტიკური ქმედებებით, ქვეყნის შესახებ ინფორმაციის დეკოდირების საშუალებით, ზოგიერთი სახელმძღვანელოს ავტორს შეუძლია, წინასწარ განსაზღვროს ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელო სერიების ორგანიზება და ანბანისა და სპეციალური ტექნოლოგიების საშუალებით ააგოს მისი სტრუქტურა.

ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების სერიის აგებულება ინგლისურ ფოლკლორზეა დაფუძნებული. ის საშუალებას გვაძლევს, ინგლისური მენტალობის სპეციფიკურ თვისებებზე მივიღოთ ინფორმაცია. ენის კულტურის

ფაქტები, რომლებიც ინგლისური ფოლკლორის სხვადასხვა ჟანრის სიმბოლური სისტემებისგან შედგება, ირჩევენ და ვიზუალიზაციას უკეთებენ ინგლისურ რეალობას. ეს პრობლემები სირთულეებს უქმნის ბავშვებს და მათ წინასწარ დამტკიცებულ დისკუსიებში რთავს, სავარჯიშოების საშუალებით შედარებულია ფაქტები მშობლიურ რუსულ კულტურასთან.

ჩვენ გვჯერა, რომ მათ აქვთ ვიზუალის დაუფლების მენეჯმენტის ინსტრუმენტის ფუნქცია, რომელიც თამაშობს როლს პირველკლასელის, როგორც საგანმანათლებლო სუბიექტების ფორმაციის კონტროლში. ისინი ეხმარებიან მას, დაეუფლოს საგანმანათლებლო აქტივობის ყველა შემადგენელ კომპონენტს.

ვიზუალური არავერბალური ასპექტის გავლენა განსაკუთრებით ეფექტურია შემსწავლელის სწავლების პროცესში, იმ წინაპირობით, რომ ვიზუალური არავერბალური ასპექტი დამატებითი დამხმარე საშუალება უნდა იყოს.

თეორია მხარს უჭერს \*V-ფორმაციის მენეჯმენტს, როგორც პირველკლასელის სასწავლო მასალად გამოყენებას, რომლის დროსაც ის უნდა დაეუფლოს აქტივობების აღქმის კონტექსტს. მისი დამუშავების პროცესი და სავარჯიშოები - როგორც შედეგი - ობიექტის ვერბალური კომპონენტის დაუფლებაა.

ჩვენ შევეცადეთ, დაგვემტკიცებინა სინკრეტული სახელოვნებო აქტივობების

ადეკვატური მიზნები და ინგლისურენოვანი კულტურის სახელმძღვანელოს შინაარსი, რომელიც გამოხატავს ბავშვთა სწავლებისას გამოყენებულ მეთოდებში სასწავლო აქტივობათა ობიექტის სტრუქტურას:

- მოიცავს მატერიალიზებულ გარე ქმედებას და საშუალებას გვამღვეს, გადავიტანოთ ისინი შიდა დონეზე;
- ტრენინგის აქტივობის ყველა კომპონენტის მიღების სტიმულაციის საშუალება;
- ვიზუალურ არავერბალურ კომპონენტთან მუშაობისას კოგნიტური, კომუნიკაციური, ესთეტიკური მოტივაციის საშუალება;
- ასრულებს ღირებულების მინიჭებისთვის საჭირო პირობის როლს.

სინკრეტული შემოქმედებითი კომპონენტების თვისებები - სამთავრობო აქტივობები - შემოქმედებითი აღქმა, თამაში და კრეატიული აქტივობების გამოყენება - სკოლის დაწყებით წლებში, აღწერილი მუშაობის ტექნიკა სახელმძღვანელოების ვიზუალურ მხარესთანაა კავშირში, რომელსაც „მეინსტრუმული აქტივობები“ ეწოდება და გავლენას ახდენენ პროგნოზირებად ავტორებზე; ესაა ვიზუალური სახელმძღვანელოების ორგანიზაციის პროცესის სპეციფიკური აქტივობების შესაძლებლობები.

ყოველივე ეს გვეუბნება, რომ დაწყებითი კლასებისთვის ინგლისურენოვანი

კულტურის ვიზუალური სახელმძღვანელოების კონსრუქციის მეთოდოლოგიის შემუშავება დაფუძნებული უნდა იყოს შემდეგ პრინციპებზე:

ვიზუალური სახელმძღვანელოების ორგანიზება უნდა ექვემდებარებოდეს ვიზუალური ტექსტების დაუფლების ამოცანას, გათვალისწინებული უნდა იყოს მიმღების ასაკობრივი თავისებურებები.

ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების ფუნქციონირების მთავარი პირობა, რომელიც უნდა გახდეს მოდელი სახელმძღვანელოს ავტორისათვის, მიმღების მიერ დეკოდირებისათვის ოპტიმალური კოდირების სისტემის არჩევაა. ამისათვის კი არავერბალური ვიზუალური სახელმძღვანელოების შინაარსის არჩევისას გათვალისწინებული უნდა იყოს ნორმირებული ფუნქციონალური მექანიზმის დონე და სტუდენტს უნდა მიეცეს 7 წელი მაინც, რათა გამოცდილება მიიღოს სოციოკულტურული კომპეტენციების განვითარებასა და გამოვლენაში.

არავერბალური ვიზუალური ტუტორიალი, როგორც ინგლისურენოვანი კულტურის ჰომომორფული მოდელი და სახელოვნებო აღქმის ობიექტი, უნდა შეიცავდეს მის სტრუქტურაში ა) ინგლისური კულტურის ფაქტებს, შერჩეულს რუსულად მოლაპარაკე კულტურის დაუფლების ამოცანის გათვალისწინებით. ბ) ვიზუალური სიმბოლოების ენას (კულტურისთვის თანდაყოლილი მეთოდები სახელოვნებო

ინფორმაციის კოდირებისთვის). გ) ხელოვნების ენაზე ქცევების გადმოცემის კონვენციური გზები.

ეროვნულ სკოლებში ინგლისურენოვანი კულტურის მომცველი საგანმანათლებლო დონის ვიზუალური ტუტორიალისთვის ფაქტების შერჩევისას მნიშვნელოვანია ინგლისური და ადგილობრივი კულტურების მოცემულ ეტაპზე არსებული კავშირებისა და ურთიერთგავლენის გათვალისწინება.

ექსპრესიული ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოები იგება ინგლისურენოვანი კულტურის ფაქტებსა და, ზოგადად, კულტურულ ფენომენებზე დაყრდნობით, რათა ის იყოს იმ ასაკობრივი დონის შესაბამისი, ვისთვისაცაა სახელმძღვანელო განკუთვნილი.

იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მისი ვიზუალური სპექტრი, როგორც კომუნიკაციის დამოუკიდებელი ინსტრუმენტისა, საჭიროა სტრუქტურაში ჩაიდოს კარგად განსაზღვრული ოპერაციები და აქტივობები, რომლებიც კორელაციაში მოვლენ ვერბალურ ტუტორიალთან, შესძენენ მას გარკვეულ შენატანს (შემადგენელი ელემენტები, ისტორია, სიტუაციური ლოგიკა), რომელიც აუცილებლად უნდა იყოს შეტანილი მის თითოეულ ტომში, ხოლო ფრაგმენტზე ორიენტირებული ელემენტის მოცულობა და სიგრძე უნდა განისაზღვროს ასაკობრივი მონაცემით.

## დასკვნა

კვლევის შედეგად ჩვენ მივედით შემდეგ დასკვნებამდე: უპირველეს ყოვლისა, ვიზუალური არავერბალური სახელმძღვანელოების სერია ინგლისურ ენაში უნდა მიიჩნეოდეს ერთდონიან სახელოვნებო ნიმუხად, რომელიც წარმოაჩენს ინგლისურენოვან კულტურას. ამას გარდა, ძალიან მნიშვნელოვანია, რომ ვიზუალურ არავერბალურ სერიაში ინფორმაციის შერჩევა და სტრუქტურირება მოხდეს სახელმძღვანელოების ავტორების მიერ

მათი გადმოსახედიდან, ანუ თანმიმდევრული კოგნიტიური, საგამანათლებლო და სავარჯიშო ამოცანებით უცხო ენის სწავლების პროცესში და სტუდენტების ასაკის ჯგუფის სპეციფიკური გავლენის გათვალისწინებით, რაც საშუალებას მისცემს ამ სიმრავლეს (ნაგულისხმევია, რომ მათთან კლასში კორექტული ორგანიზაციები იმუშავენ), რომ შეასრულოს სახელმძღვანელოებში დაუფლების მექანიზმის კონტროლის საშუალების როლი.

## წყაროები:

1. Ананьев Б. Г. Опроблемахсовременногочеловекознания / Б. Г. Ананьев. - М.: Наука, 1977. - 379 с.
2. Брунер Дж. Процессобучения / ДжБрунер. - М.: Прогресс, 1962 - 190 с.
3. Веккер Л. М. Психологическиепроцессы / ..- ЛМ. Веккер. - Л.: Изд-воЛГУ. - т.1. - 1981.- 240 с.
4. Венгер Л. А. Восприятиеиобучение / Л. А. Венгер - М.: Просвещение, 1969 - 340 с.
5. Занков Л. В. Методиорганизацияисследования / Л. В. Занков // Обучениеиразвитие [подред. Л. В. Занкова] - М.: Педагогика, 1975 - С. 21-45.
6. Зимняя И. А. Психологияобученияиностраннымязыкамвшколе / И. А. Зимняя. - М.: Просвещение, 1991.- 222 с.
7. Рубинштейн С. Л. Основыобщейпсихологии- В 2-хт. / С. Л. Рубинштейн. - Т.1.- М.: Педагогика,1989. – 483 с.